№7

ივლისი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისში შიდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

გვ:2

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობისთვის განცხადებების მიღება დაიწყო

გვ:2

როგორ უნდა მოვიქცეთ და ვის უნდა მივმართოთ ქვეწარმავალისგან დაკბენის შემთხვევაში

გვ:6

ბოლნისში შიდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

ბოლნისში შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს. ამ ეტაპზე დასრულების პირასაა აკაკი წერეთლის, 500 ბოლნელისა და ანზორ ოჩხიკიძის ქუჩები. სამივე ქუჩა, პროექტის გათვალისწინებით, ადგილობრივი ბაზალტით მოიკირწყლება, დამონტაჟდება ლედ სანათები და მოეწყობა სანიაღვრეები. ჯამში, მიმდინარე წელს, ქალაქში 8 ქუჩა განახლდება,სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტით და რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში არა ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოებისთვის ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით 6 683077 ლარის სამუშაოები შესრულდება.

კონსტანტინე კორძაძე, სივრცითი ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი:

- წლის მანძილზე ქალაქში 8 ქუჩა რეაბილიტირდება მათ შორის რამოდენიმე დასრულების პირასაა. ეს შეუქცევადი პროცესი კვლავ გაგრძელდება და უახლოეს პერიოდში ყველა შიდა ქუჩა კეთილმოეწყობა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობისთვის განცხადებების მიღება დაიწყო

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების სამკურნალოდ, უცხოეთის წამყვან კლინიკებში, სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად, განცხადებების მიღება დაიწყო.

პროგრამის პარტნიორი კლინიკებია: თურქეთის „ანადოლუს სამედიცინო ცენტრი“, ესპანეთის „ქირონ სალუდის სამედიცინო ცენტრი“ და ისრაელის „იხილოვის სამედიცინო ცენტრი“. პაკეტი მოიცავს დიაგნოსტიკასა და სტანდარტული მკურნალობის კურსს: ქიმიოთერაპიას, სხივურ თერაპიას, ოპერაციულ ჩარევას. ასევე - პროტონოთერაპიას, პაციენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს 18 წლამდე, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე (დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD) კოდით) პირი. პროგრამაში მონაწილეობისთვის, მშობელმა ან ოჯახის წარმომადგენელმა უნდა მიმართოს ჯანდაცვის სამინისტროს მიმღებს და ადგილზე გააკეთოს განაცხადი, რისთვისაც საჭიროა:

შეივსოს განაცხადის ფორმა (ფორმას, შესავსებად და ხელმოსაწერად, განმცხადებელი, ჯანდაცვის სამინისტროში მიიღებს)

ბენეფიციარის და განაცხადის წარმდგენის პირადობის (დაბადების მოწმობა/პასპორტი) დამადასტურებელი დოკუმენტი

ბენეფიციარის ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა N IV–100/ა, შესაბამისი ICD–10 და/ან NCSP კოდების მითითებით (ნათარგმნი ინგლისურ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული)

არსებული დიაგნოსტიკური კვლევების პასუხები (მორფოლოგია, CT. და ა.შ) (ნათარგმნი ინგლისურ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული)

პაციენტების განაწილება კლინიკებში მოხდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების, კლინიკის შესაძლებლობებისა და პაციენტის ოჯახის არჩევანის გათვალისწინებით. პროგრამის შესახებ, დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05.

საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპია საქართველოში, თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრის გახსნამდე, სადაც ერთ სივრცეში, სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი იქნება ხელმისაწვდომი. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურ სამუშაოებს ახორციელებს.

შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან

ამერიკის სენატთან არსებული დემოკრატიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში „სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდში ფერმერების და მუნიციპალიტეტების ჩართულობის გაძლიერების მხარდაჭერა“, შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ფერმერები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგომარეობაზე, პრობლემებზე, პრევენციულ ღონისძიებებზე და საჯარო რეესტრის სისტემურ რეგისტრაციაზე.

ირინე ფხოველიშვილი, საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი:

-რიგით მე-5 შეხვედრა გავმართეთ და ზოგადი მდგომარეობა ქვეყნის მასშტაბით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის პრობლემური. პრობლემის უკეთ შესწავლის მიზნით და მის მოსაგვარებლად

ვახორციელებთ მონიტორინგს, ვხვდებით ფერმერებს და სოფლის წარმომადგენლებს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს გადავუხადო მადლობა საინფორმაციო შეხვედრების მარდაჭერისთვის.

საინფორმაციო შეხვედრა იმუნიზაციის საკითხებზე

იმუნიზაციის ცნობიერების ამაღლების მიზნით, ბოლნისის მერიის საკონფერენციო დარბაზში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მშობლები, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგები და სამედიცინო პერსონალი ესწრებოდა.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია კალენდარულ საბავშვო ვაქცინის მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე, ასევე წარმომადგენლებმა ხაზგასმით ისაუბრეს პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაზე, რომლითაც სახელმწიფო პროგრამით 10-დან 26 წლამდე გოგონები ისარგებლებენ.

შეხვედრა, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს გაეროს ასოციაციის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამართა.

პროექტი ,,ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა 2023“ დასრულდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში, მიმდინარე პროექტი ,,ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა 2023“ დასრულდა, რომელიც ევროპის საბჭოს ქვემო ქართლის რეგიონის თანასწორობის ელჩების, ირინა მიქავასა და გიორგი აბულაძის ინიციატივის ფარგლებში, ბოლნისის მერიის ახალგაზრდული საბჭოს და, იოანე ბოლნელის სახელობის სამოქალაქო განათლების კლუბის „ცვლილებების პიკის“ ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელდა.

თანასწორობის ელჩები, ევროპის საბჭოს კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში თბილისში, აჭარაში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და პანკისში შეირჩნენ, ახალგაზრდები ცდილობენ აქტიური წვლილი შეიტანონ თანასწორობისა და მრავალფეროვნების პოპულარიზაციაში. პროექტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს ქვემო-ქართლის რეგიონის თანასწორობის ელჩმა გიორგი აბულაძემ, ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია: ,,ადამიანის უფლებები, დისკრიმინაცია და თანასწორობის " შესახებ.

სახალხო დამცველის ქვემო-ქართლის რეგიონალურმა წარმომადგენლებმა კი ისაუბრეს

საქართველოში დისკრიმინაციის, ქალთა და ოჯახში ძალადობის პრობლემატიკაზე.

მოეწყო ,,კარლ პოპერის ფორმატის ღირებულებითი დებატები",

გამარჯვებული გუნდები, ევროპის საბჭოს მიერ, განსაკუთრებული პრიზებით დაჯილდოვდნენ.

თანასწორობის ელჩების ინიციატივა პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ნაწილია, რომელიც საქართველოში 2020-2023 წლების ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში ფინანსდება.

გამომშრალი ყვავილებით შენარჩუნებული სილამაზე

ჩვენს პატარა ქალაქში, სადაც ტრადიციები ჰარმონიულად ერწყმის თანამედროვე მისწრაფებებს, ჩვენმა რესპოდენტმა, უნიკალური გზა იპოვა ბუნების ეფემერული სილამაზის შესანარჩუნებლად. თამარ არსენიძე ნიჭიერი ხელოვანია, რომელიც ახალ სიცოცხლეს სძენს გამხმარ ყვავილებს და მათ აქცევს დახვეწილ ხელნაკეთ ქმნილებებად, რომლებიც მომხმარებელთა გულებს იპყრობს.

ინტერვიუში გავეცნობით თამარის საქმიანობის მომხიბვლელ პროცესს. მისი შემოქმედება ხაზს უსვამს, ბუნების თანდაყოლილი სილამაზის შენარჩუნებას და გაზიარებას მხატვრული ძალისხმევით. კრეატიულობისა და ინოვაციის შერწყმით, თამარ არსენიძე გვთავაზობს გამომშრალი ყვავილების ულამაზეს სამყაროს, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ.

-რამ შთაგაგონათ ხელნაკეთი ნივთების შექმნა, გამომშრალი ყვავილებით?

- გამარჯობა, მიხარია, რომ დაინტერესდით ჩემი საქმიანობით, მადლობას გიხდით ამისთვის. ყოველთვის მქონდა ინტერესი ხელოვნების მიმართ, ბავშვობაში ბარბის თოჯინების კაბებს ვკერავდი, შემდეგ კედლებზე ვხატავდი, ასევე დავხატე რამდენიმე ნახატი ტილოზე (ერთ-ერთს გაგიზიარებთ). თუმცა, არ მაქვს შესაბამისი განათლება, ვმუშაობ საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, განათლებაც შესაბამისი მაქვს, მაგრამ სულ მაკლდა ხელოვნების კუთხით განვითარება. რამდენიმე წლის წინ ვნახე ეპოქსიდის ნამუშევრები და ძალიან დავინტერესდი. არა საკმარისი დროის, ასევე, სპეციალური დახურული სივრცის არ არსებობის გამო, ვერ მოვახერხე, რომ მეცადა და შემექმნა ნაკეთობები. ახლა, საბედნიეროდ, მაქვს ყველა შესაბამისი პირობა, ვარ დეკრეტულ შვებულებაში და ჩემი დიდი ხნის სურვილი, მეუღლის ხელშეწყობით, მცირედით განვახორციელე, რადგან ეპოქსიდთან მუშაობა გულისხმობს უსაზღვრო შესაძლებლობებს.

მეუღლემ როდესაც პირველად მაჩუქა ვარდები (მაშინ არ იყო მეუღლე) დიდი ემოცია გამოიწვია და ამიტომ გადავწყვიტე შემენახა გამომშრალი სახით, რადგან ასე დიდი ხანი ვერ გაძლებდა, დავიწყე ფიქრი, როგორ შემენახა სამუდამოდ და გაჩნდა იდეა, გამომეყენებინა ეპოქსიდის ფისი, რამაც გაამართლა.

- შეგიძლიათ გვიამბოთ თქვენი შემოქმედებითი პროცესის შესახებ - როგორ აერთიანებთ გამომშრალ ყვავილებსა და თქვენთვის სასურველ დიზაინს ერთმანეთთან?

-რაც შეეხება მუშაობის პროცესს, ჯერ უნდა წარმოვიდგინო დაახლოებით როგორი გამოვა, შემდეგ ვიწყებ მუშაობას, მაგრამ პროცესში შეიძლება მთლიანად შეიცვალოს ჩანაფიქრი, მაგალითად გამომშრალ ყვავილებს ფერები ან დეკორატიული მასალა არ მოუხდეს, ხშირად ასეა, აუცილებლად გასათვალისწინებელია უსაფრთხოების ზომები და შრობის პროცესის დროის განსაზღვრა. მქონია წარუმატებელი ნამუშევრებიც, თუმცა, პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ, აღარ დამმართნია მსგავსი შემთხვევა.

- რა გამოწვევების წინაშე დგახართ მუშაობისას, როგორ უმკლავდებით პროცესს და, როგორ ახერხებთ მოიპოვოთ გამომშრალი ყვავილები?

-ყვავილებს თავად ვაშრობ, თუმცა, სამწუხაროდ ყველა ყვავილს ფერი არ უნარჩუნდება და მიწევს გამოწერაც.

- შეგიძლიათ გაგვიზიაროთ სამახსოვრო ისტორია, რომელიც დაკავშირებულია თქვენს ხელნაკეთ, ერთ-ერთ შემოქმედებასთან?

-პირველად, ვიდრე გამოწერილი ყალიბი ჩამოვიდოდა, საცდელად შევიძინე სილიკონის საკონდიტრო გულის ფორმები, როდესაც გავამზადე, ვაჩვენე ჩემს შვილებს, ტკბილეული ეგონათ და ეწყინათ, რომ ვერ დააგემოვნეს.

- როგორ და სად ყიდით ხელნაკეთ ნივთებს, გაქვთ ონლაინ გვერდი თუ მაღაზიაში შეუძლია მსურველს სტუმრობა?

-გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, ჩავთვალე საჭიროდ გამეზიარებინა მეგობრებისთვის, რამაც მათი აღფრთოვანება გამოიწვია, შევქმენით სოციალურ ქსელში გვერდი და ვყიდით ონლაინ. ახლა კი ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის N99-ში,

საკანცელარიო მაღაზიაში არის შესაძლებელი ხელნაკეთი ნივთების შეძენა, რაც ჩემი ძმის მხარდაჭერით განხორციელდა.

- შეგიმჩნევიათ რაიმე ტენდენციები, მომხმარებლებს შორის, როდესაც საქმე ნივთის დიზაინს ეხება?

-რაკი ყველა ადამიანის გემოვნება ინდივიდუალურია, ხშირად მიწევს მათი მოთხოვნა, ჩემს გამოცდილებას შევუსაბამო და დავარწმუნო, უკეთესი ვარიაციის შექმნაში.

- როგორ აბალანსებთ თქვენს მხატვრულ

ხედვას წარმატებული ბიზნესის წარმართვის მოთხოვნებთან?

-რა თქმა უნდა, პირველ რიგში საკუთარი ნააზრევის გადმოცემას ვცდილობ, თუმცა, ბიზნესის წარმართვის კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის ინტერესს

- არის რაიმე კონკრეტული თემები, ან შთაგონებები, რომლებსაც აერთიანებთ თქვენს დიზაინში?

-ამ სფეროში ჩართვა შთაგონებით დაიწყო და, დამეთანხმებით, ხელოვნებაც სწორედ შთაგონებების ხარჯზე იქმნება.

- რა როლს თამაშობს მომხმარებლის გამოხმაურება თქვენი, როგორც წარმატებული ადამიანის განვითარებაში?

- წარმატებული ადამიანი ჩემზე ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, თუმცა, დიდი სტიმულია მომხმარებლის შეფასება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, რასაც ყოველთვის ვითვალისწინებ. აღფრთოვანებული და კმაყოფილი მომხმარებლის შეფასება მარწმუნებს, რომ სწორად ვიქცევი, ხოლო უკმაყოფილო შეფასება, კარგ შეფასებას ბევრად სჯობს, ამით ვსწავლობ და ვვითარდები. ფაქტობრივად, უფასო რჩევაა. ვცდილობ ვისწავლო, განვავითარო და გავაანალიზო უკმაყოფილების მიზეზი.

- რა სამომავლო მიზნები ან მისწრაფებები გაქვთ, ხელნაკეთი ნივთების ბიზნესისა და გამომშრალი ყვავილებით შემოქმედებითი განვითარების კუთხით?

-საინტერესოა აღნიშნულ სფეროში მუშაობა და ამავდროულად, საპასუხისმგებლო, რადგან მაინც ადამიანის ემოციებთან არის კავშირში, ვამზადებთ ბავშვის დაბადების მონაცემების დაფას, წყვილები ერთმანეთისთვის გვიკვეთავენ გასაღებების საკიდს თავიანთი ინიციალებით, რომ სულ თან ატარონ, სურათებს ვათავსებთ გამომშრალ ყვავილებთან ერთად, სასიამოვნო მოგონებებისთვის, ჭიქის სადგამებს, სასიამოვნო განწყობის შესაქმნელად, თმისთვის აქსესუარებს, სხვადასხვა ზარდახშებს, ახლა საათებზე ვმუშაობთ და მალე გაგაცნობთ სიახლეებს.

- და ბოლოს, თქვენი აზრით, რა არის წარმატების მთავარი საწინდარი?

-საქმის სიყვარული და შრომა, ამის გარეშე არ მგონია რაიმე იქმნებოდეს.

მადლობა, გისურვებთ წარმატებას!

,,წარმატების გაკვეთილები“ - ყურადღების ცენტრში პატივცემული პედაგოგის მიღწევები

ჩვენი გაზეთის სტუმარია ხატისოფლის საჯარო სკოლისა და ბოლნისის N5 საჯარო სკოლის მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განათლების სფეროში. მიღწევების შთამბეჭდავი სიით, სერთიფიკატებითა და მრავალწლიანი გამოცდილებით, ლიანა მამულაშვილი გახდა შთაგონებისა და გამოცდილების შუქურა თავის სასკოლო საზოგადოებაში.

მისი პროფესიონალიზმი და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რადგან იგი იმ მცირერიცხოვან მასწავლებლებს შორის არის, რომლებმაც მენტორის სტატუსი პირველივე წელს მიიღეს.

1987 წლიდან, სკოლაში შთამბეჭდავი მოღვაწეობით, ქალბატონი ლიანა მონაწილე გახდა განათლების მუდმივი განვითარების. დიდმა გამოცდილებამ, იგი გახადა ფასდაუდებელი მოსწავლეების, კოლეგებისა და მთლიანად, განათლების სისტემისთვის. გარდა ამისა, მისი, როგორც სახელმწიფო პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლის როლი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის წვლილს განათლების ხარისხის ამაღლებისა და სწავლების გაუმჯობესებაში.

-მოგესალმებით, ქალბატონო ლიანა. მნიშვნელოვანი მიღწევები გაქვთ განათლების სფეროში. შეგიძლიათ გვიამბოთ თქვენი, როგორც მასწავლებლის მოგზაურობის შესახებ საგანმანათლებლო სამყაროში და რამ შთაგაგონათ, ამ სფეროსათვის დაგეკავშირებინათ კარიერა?

- მოგესალმებით, ჩემი პირველი სპეციალობა ფარმაცევტობა იყო, სააფთიაქო ქსელში არაერთი წელი ვიმუშავე, მაგრამ გული ყოველთვის სკოლისკენ მიმიწევდა, რადგან ჩემი საოჯახო წრე ძირითადად პედაგოგებისგან შედგებოდა: დედა, ძმა, დეიდა, დეიდაშვილი, ბიძაშვილები და ა.შ. ყველა პედაგოგი იყო. ამიტომაც, ბევრი არც მიფიქრია, პროფესია ისე შევიცვალე, რადგან მოწოდებით მასწავლებელი ვარ, მოსწავლეების გარემოცვაში თავს ბედნიერად ვგრძნობ, შემიძლია საკუთარი შესაძლებლობისა და უნარების მაქსიმალური გამოვლენა.

-ხუთ სასკოლო საგანში სერთიფიკატის მოპოვება შთამბეჭდავი მიღწევაა. შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ის საგნები, რომლებშიც ხართ სერტიფიცირებული და რატომ აირჩიეთ სპეციალიზაცია ამ კონკრეტულ სფეროებში?

-მეკითხებით თუ რატომ ავირჩიე სპეციალიზაცია ამ კონკრეტულ სფეროებში? გიპასუხებთ, რომ რადგან პირველი სპეციალობით სამედიცინოს სფეროში ვიყავი, მთლად მედიცინისგან მოწყვეტა აღარ მინდოდა და ამიტომაც, მომავალ სპეციალობად გეოგრაფია - ბიოლოგია ავირჩიე. რაც შეეხება დანარჩენ სერტიფიცირებულ საგნებს, ისინი ჩემი ძირითადი სპეციალობების მონათესავე საგნებია: ბუნებისმეტყველება და სამოქალაქო განათლება, ამიტომაც სასერტიფიკაციო საგნებად ისინი ავირჩიე. ხოლო მე-5 სერტიფიცირებულ საგანს - ქართული, როგორც მეორე ენა, ცოტა გრძელი ისტორია აქვს.

2004-2005 სასწავლო წელს, როდესაც განათლების სფეროში რეფორმის ე.წ. ნამდვილი ,,ბუმი“ იყო, გამოცხადდა კონკურსი: ,,მომავალი იწყება დღეს“, რომლის გამარჯვებული კონკურსანტი ვარ. მთელი საქართველოს მასშტაბით შეირჩა 36 ე.წ. ,,მისიონერი“ პედაგოგი: ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლები, რომლებსაც დაგვევალა არაქართველი მოსწავლეებისა და თემისთვის ქართული ენის შესწავლა. მაღალი შედეგების მისაღებად მოგვეცა სრული თავისუფლება ჩვენი სწავლების მეთოდების გამოყენებისა. ნამდვილად არ ვიცი კონკურსისას რა კრიტერიუმებით შეგვაფასეს, მაგრამ გუნდში აღვმოვჩნდით საუკეთესოთა შორის, საუკეთესონი (ნამდვილად არ არის ეს შეფასება გადაჭარბებული), რომლებმაც არაერთი კარგი საქმე გავაკეთეთ და დასაბამი მივეცით დღევანდელ სხვადასხვა პროექტს....

- იმ ცხრა მასწავლებლიდან ერთ-ერთი ბრძანდებით, ვინც პირველმა მოიპოვეთ მენტორის სტატუსი. შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი, როგორც მენტორის როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, როგორ უჭერთ მხარს და ხელმძღვანელობთ სხვა მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში?

- დიახ, მე გახლავართ პირველი თაობის 9 მენტორიდან ერთ-ერთი. შემიძლია ვთქვა, რომ მენტორობა არის ერთგვარი პასუხისმგებლობა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობ და საკუთარ თავს მოდუნების საშუალებას არ აძლევ. ამას ემატება ისიც, რომ სსიპ ბოლნისის მუნ. სოფ. ხატისოფლის საჯარო სკოლაში დასაქმებული ვარ სახელმწიფო ქვეპროგრამით: ,,ასწავლე საქართველოსთვის“, რომელსაც კიდევ თავისი სხვა დამატებითი დატვირთვა აქვს. ამუამად ამ სკოლაში ვახორციელებთ სასკოლო პროექტს: ,, ადამიანის უფლებები და მათი დაცვა“-, რომლის ავტორიც მე გახლავართ. ამ დიდი პროექტიდან გამომდინარე, თითოეული კათედრა დამატებით ახორციელებს არაერთ ქვეპროექტს, რომელშიც ჩართულია მთელი სკოლის საზოგადოება და თემი. პედაგოგებისთვის, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ვგეგმავ სამუშაო შეხვედრებს, მოსწავლეებთან ჩამოყალიბებული მაქვს 2 სხვადასხვა კლუბი, რომლებშიც გვაქვს ჩვენი სამოქმედო გეგმები და ნაბიჯ-ნაბიჯ ვახორციელებთ მათ. სკოლის ეკოკლუბელი ,,ბუნების მცველები“ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მწვანე დროშა დაიმსახურონ. ჩართულები ვართ eTwinning-ის პროექტებში. შარშანდელი, 2 საერთაშორისო პროექტის გამარჯვებულები ვართ და ევროპის ხარისხის მფლობელებიც გავხდით. ასევე, გვაქვს დამატებითი ონლაინ გაკვეთილები, რომელშიც ვეზიარებით - ,,ციფრულ მოქალაქეობა“-ს, კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობით ვგეგმავთ და ვახორციელებთ სხვადასხვა ინტეგრირებულ პროექტ -გაკვეთილებს. ვქმნით საგანმანათლებლო რესურსებს, ვიწვევთ საინტერესო სტუმრებს, ყოველწლიურად სხვადასხვა თემატიკაზე ვატარებთ შიდა სასკოლო კონფერენციებს და ა.შ.

-როგორც ჩვენთვის ცნობილია, ახლახან, ლიტერატურულ კონკურსში, ,,მივიწყებული სახელები“, გაღიარეს საუკეთესო თხზულების ავტორად. როგორი განცდა იყო თქვენთვის ეს გამარჯვება და როგორ ახერხებთ წერისათვის გამონახოთ დრო, მიუხედავად ასეთი დატვირთული გრაფიკისა?

- ვარ რამდენიმე წიგნის ავტორი, მაგრამ ამ ახალ წიგნს:,,წუთისოფლის ქიდილში“ ვუძღვნი ჩემი შვილის - გიორგის ხსოვნას. როდესაც შვილის დაკარგვის დიდი ტკივილის ატანა შეუძლებელი ხდება, ვიღებ კალამს და ვწერ გიორგიზე მოგონებებს, პარალელურად აღვწერ იმდროინდელ საქართველოს სიდუხჭირეს, გონებით გადავდივარ ჩემი გიორგის ბავშვობასა და ახალგაზრდობაში, ვეფერები მას და ამით ვიმსუბუქებ იმ მძიმე ჯვრის ტარებას, რასაც შაოსანი, შვილდაკარგული დედის ტკივილი ჰქვია....მინდა აქვე ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს პედაგოგთა კავშირს, რომელმაც ჩემს თხზულებას ასეთი მაღალი შეფასება მისცა და, როგორც საუკეთესო ნაწარმოების ავტორი, დამაჯილდოვა კ.მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლ:,,ერთხელ ამერიკაში“-ს 30 ბილეთით. სპექტაკლზე წავიყვანე - სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები და თემის რამდენიმე წარმომადგენელი (რადგან სკოლა მცირე კონტიგენტიანია, ბილეთების რაოდენობამ ამის საშუალება მომცა). მოსწავლეთა ნაწილი პირველად ,,ეზიარა“ თეატრს და მათი ემოციების გადმოცემა მიჭირს. მათი ასეთი ემოციებისთვის, კიდევ ერთხელ მადლობა საქართველოს პედაგოგთა კავშირს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრსა და უშუალოდ, სპექტაკლის მსახიობთა დასს.

-სამ ათწლეულზე მეტი გამოცდილების მქონე ბრძანდებით, როგორ ხედავთ საგანმანათლებლო სფეროს განვითარებას წლების განმავლობაში? რა არის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც გავლენა მოახდინა სწავლების თქვენეულ მიდგომაზე?

- რა თქმა უნდა პედაგოგს წლებთან ერთად გემატება გამოცდილება, რაც წარმატების საწინდარია. სწავლების მიდგომების დახვეწაზე კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სასკოლო ცხოვრებაში თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანამ, რამაც გაამრავალფეროვნა გაკვეთილები და განათლების მიღებაც უფრო სრულყოფილი გახადა. დღევანდელი გადმოსახედიდან, განათლების სფეროს განვითარებისთვის ვთვლი, რომ უფრო მეტი თავისუფალება უნდა მოგვეცეს და დროც გვქონდეს, რომ სკოლის თითოეული კლასისთვის, თემატიკაზე მორგებით, შევქმნათ სასწავლო რესურსი, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ნამდვილ საჭიროებებზე და არა თავს მოხვეულ ვალდებულებებზე.....

-როგორც სახელმწიფო ქვეპროგრამის:,,ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებელს, შეგიძლიათ გვიამბოთ პროგრამის შესახებ, როგორია თქვენი როლი მასში?

-პროგრამა:,,ასწავლე საქართველოსთვის“ არსებობს 2009-10 სასწავლო წლიდან, მე კი მასში ჩავერთე 2014-15 სასწავლო წლიდან, ჩემს კარიერულ წინსვლაში, თამამად ვიტყვი, რომ მას ,,ლომის წილი“ მიუძღვის. ქვეპროგრამაში არავითარი თავს მოხვეული ვალდებულებები არ გვაქვს. თვითონ ვწერთ სამოქმედო გეგმას, რომელსაც ვუთანხმებთ დამსაქმებელს და სასწავლო წლის ბოლოს ჩვენი პორტფოლიოების საშუალებით ვაკეთებთ შეჯამებას ჩვენ მიერ შესრულებული საქმიანობისა, რომელსაც მტკიცებულებების სახით არაერთი არგუმენტაცია ერთვის. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი გულისტკივილი დავაფიქსირო, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროგრამამ (მოგვიანებით მოხდა პროგრამების გამსხვილება და ამიტომ გახდა ქვეპროგრამა) ძალიან დიდი დახმარება გაუწია საქართველოს მასშტაბით მაღალკვალიფიციური პედაგოგების გაგზავნით, მაღალმთიან თუ მცირე კონტიგენტიან სკოლებში, ხარისხიანი სწავლების დონის ამაღლებას. სამწუხაროა, ის ფაქტი რომ ქვეპროგრამა:,,ასწავლე საქართველოსთვის“ ხელშეკრულება არ გვაქვს 1-წლიანი, ამიტომაც ვერ ვსარგებლობთ შვებულებით, ხელფასი 10 წლის განმავლობაში არ მომატებულა, მიუხედავად ასეთი დიდი ინფლაციისა, არადა სამუშაო პასუხისმგებლობები განუხრელად იზრდება. ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხზე ახალი მინისტრი, საქართველოს მასშტაბით, თანაბარი, მაღალხარისხიანი განათლების შენარჩუნებისთვის, ახალ სასიკეთო ცვლილებებს შეიტანს.

- ყველაზე დასამახსოვრებელი და სასარგებლო მომენტები, რომლებიც გქონიათ, როგორც მასწავლებელს, თქვენი მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში.

- ალბათ, მასწავლებელთა უმრავლესობა დამეთანხმება, რომ იმაზე მეტად სასიხარულო არაფერია, როცა უკვე სკოლა დამთავრებულ ყოფილ მოსწავლეს, შენს დანახვაზე სახე გაუბრწყინდება, და სიყვარულით ჩაგეხუტება. ამაზე დიდი საჩუქარი და დასამახსოვრებელი მომენტი მასწავლებლისთვის არ არსებობს.

-მასწავლებლობა არის პროფესია, რომელიც მოითხოვს უწყვეტ სწავლასა და ადაპტირებას. როგორ აგრძელებთ სიახლეებთან შეგუებას?

-ჩემი სამუშაო დღე იწყება დაახლოებით დილის 6.30 სთ-დან და გრძელდება შუაღამემდე. ამიტომაც ვახერხებ, რომ ფეხდაფეხ მივყვე სიახლეებს. არადა საგანმანათლებლო სფეროში ნამდვილად არის სიახლეები მაგ.: ტექნოლოგიების გამოყენებისა, რომელსაც მივესალმები და მისი დანერგვის აუცილებლობასა და საჭიროებას ნამდვილად ვხედავ, მაგრამ არის ისეთი სიახლეებიც, რომელიც თავს მოხვეული და მოსწავლეებისთვის არაფრის მიმცემია, რომელიც მხოლოდ დროს გვაკარგვინებს და მეტი არაფერია. ვფიქრობ, ყოველივე ეს დამუშავების პროცესშია და გამოსწორებადია.

- რა არის ის ძირითადი თვისებები ან უნარები, რაც ქმნის განსაკუთრებულ მასწავლებელს? როგორ ცდილობთ დანერგოთ ეს უნარ-ჩვევები თქვენს სასწავლო პრაქტიკაში?

- ასეთი უნარი ალბათ არის ის, რომ შეგიძლია, უანგარო, უსაზღვრო სიყვარული აღსაზრდელებისა, მიუხედავად მათი სიცელქისა და ონავარობისა, დანარჩენი კი თავისთავად ეწყობა.....

-როგორც მენტორი და მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რას ურჩევდით დამწყებ პედაგოგებს, რომლებიც ახლა იწყებენ პედაგოგიურ კარიერას?

- შეძლებისდაგვარად დააკვირდნენ და გამოიკვლიონ თითოეული მოსწავლის საჭიროებები, შემდეგ ეს ყველაფერი გააერთიანონ და ისე დასახონ სამოქმედო გეგმა თითოეულ კლასში, ესგ-ზე დაყრდნობით. შექმნან თითოეული კლასისთვის ინდივიდუალური სასწავლო რესურსი, რომელიც თამაშზე იქნება აგებული. ამის შემდეგ კლასის მართვა და სასწავლო პროცესის შედეგებზე ორიენტირება მათთვის ძალზედ ადვილი იქნება.

-რა არის თქვენი მისწრაფებები და მიზნები მომავლისთვის? როგორ აპირებთ იქონიოთ დადებითი გავლენა მოსწავლეების ცხოვრებასა და განათლებაზე?

-ვფიქრობ, რომ ისევ ისეთი შემართებით ვიყო, როგორც ამუამად ვარ. ვიზრუნო მოსწავლეთა ხარისხიან განათლებაზე, საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. განვახორციელო საინტერესო პროექტები, როგორც ადგილობრივი მასშტაბით, ისე საერთაშორისო დონეზე (რის საშუალებასაც მომცემს სკოლის მოსწავლეთა ასაკი). შევქმნა საგანმანათლებლო რესურსები, ვითანამშრომლო კოლეგებთან და ა.შ. მინდა, სასარგებლო ვიყო როგორც სსიპ ბოლნისის მუნიციპალტეტის სოფ. ხატისოფლის , ისე სსიპ ქ. ბოლნისის N 5 საჯარო სკოლისთვის, სადაც დაწყებით კლასებში ვასწავლი ბუნებისმეტყველებას.

მადლობა ქვეპროგრამას - ,,ასწავლე საქართველოსთვის“ და თითოეულ სკოლას, რომ მაძლევენ მათთან ურთიერთთანამშრომლობის საშუალებას, რითაც შემიძლია საკუთარი თავის რეალიზება.

პაპილომავირუსი და პრევენცია

ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ) არის ვირუსთა ჯგუფი, რომელიც იწვევს კანის, ან ლორწოვანი გარსების(როგორიცაა მ.შ. პირის ღრუ, ან საშვილოსნოს ყელი) დაინფიცირებას როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში.აპვ ძალიან გავრცელებულია, სქესობრივად აქტიურ ადამიანთა დაახლოებით 80% ცხოვრების რომელიმე ეტაპზე, აუცილებლად ინფიცირდება აპვ-ის ერთი ან მეტი სახეობით.

ადამიანის პაპილომავირუსული ინფექციების უმრავლესობა უსიმპტომოდ მიმდინარეობს. თუმცა, ვირუსის სპეციფიური ონკოგენური ტიპით (უმეტესწილად აპვ 16 და აპვ 18) გამოწვეული ქრონიკული ინფექცია, ხშირად საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების მიზეზი ხდება. საშვილოსნოს ყელის კიბოს 70% ადამიანის პაპილომავირუსის ორი ტიპითაა გამოწვეული.

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბო კიბოსთან ასოცირებული სიკვდილობის მესამე მიზეზს წარმოადგენს.საშვილოსნოს ყელის კიბო ამჟამად კიბოს ერთადერთი სახეობაა, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია.

აპვ ჩვეულებრივ პირდაპირ, კანიდან კანზე, დაინფიცირებულ არესთან კონტაქტისას ვრცელდება. ის შეიძლება ნებისმიერი ინტიმური კავშირის დროს გავრცელდეს, იქნება ეს სქესობრივი აქტი, თუ გენიტალიებზე შეხება.

იშვიათად, ვირუსი შეიძლება გადავიდეს დედიდან ბავშვზე მშობიარობის დროს. ასეთ დროს შესაძლოა განვითარდეს ახალშობილთა იშვიათი, მაგრამ სერიოზული დაავადება, რომელსაც რეკურენტული რესპირატორული პაპილომატოზი (RRP) ეწოდება. ეს დაავადება, სასუნთქი გზების ობსტრუქციის გამო, მაღალი ლეტალობით ხასიათდება.

პაპილომავირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია შესაძლებელია ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინითა და რეგულარული სკრინინგით.

აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია გოგონებში ადამიანის პაპილომავირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოსაგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, თავის მხრივ, თითოეული ვაქცინირებული პირი ხელს უშლის ვირუსის სხვა ადამიანზე გავრცელებას. მსოფლიოში აპვ ვაქცინაცია 2006 წლიდან დაიწყო. ის დანერგილია მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. მათ შორისაა აშშ, ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, ისრაელი, იტალია, კანადა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი და სხვა. განვითარებულ ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის წყალობით მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებში 90%-მდე შემცირდა აპვ-ით გამოწვეული ინფექციები. თუმცა, პაპილომავირუსი არ არის საშიში მხოლოდ ქალებისთვის, ის აგრეთვე საშიშია მამაკაცებისთვისაც, რადგან აღნიშნულმა ვირუსმა შესაძლოა გამოიწვიოს გენიტალური მექქექების განვითარება. სწორედ აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც საჭიროა როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვისაც.

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ინგლისში და სხვა წამყვან განვითარებულ ქვეყნებში გამოიყენება როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებშიც 2018 წლიდან. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ვაქცინაციისა და იმუნიზაციის ერთობლივი კომიტეტის (JCVI)რჩევებს. 2023 წელს კი განსაკუთრებული შესაძლებლობა მიეცა საქართველოში მცხოვრებ 10–11-12 წლის ბიჭებს აიცრან, ამით კი თავიდან აიცილონ და დაიცვან მომავალი პარტნიორი პაპილომავირუსის მიერ გამოწვეული დაავადებებისგან. აქამდე, პაპილომა ვირუსზე აცრა, ვაქცინაციის ეროვნული პროგრამის მიხედვით,მხოლოდ 10 - 11 - 12 წლის გოგონებისთვის იყო ხელმისაწვდომი. აღნიშნული ასაკის მოზარდების ვაქცინაცია პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარს დაემატა და კურსი მოიცავს 2 დოზას, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი კი 6 თვეა. გასული წლიდან კი, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის დამატებითი ღონისძიების ფარგლებში, გოგონებს აპვ-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 26 წლის ჩათვლით შეუძლიათ. 13-26 წლის ქალთა ასაკობრივ ჯგუფში ვაქცინაციის კურსი სამი ინექციისგან შედგება და ტარდება შემდეგი სქემით: 0 - 2 - 6 თვე.

საქართველოში აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება ოთხვალენტიანი ვაქცინით პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინა ვირუსის იმ ტიპებს შეიცავს, რომელიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული და ყველაზე ხშირად იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს, ის მაღალეფექტურია - აცრილთა თითქმის 100%-ს უვითარდება იმუნიტეტი, რის შედეგადაც მცირდება ინფექციის და შესაბამისად, მის მიერ გამოწვეული კიბოს შემთხვევები.

პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას, ისევე როგორც ნებისმიერ მედიკამენტსა თუ ვაქცინას, შეიძლება ახლდეს გვერდითი მოვლენები. ამ გვერდითი მოვლენების უმეტესობა ძალიან უმნიშვნელოა. ასეთია, მაგალითად: ცხელება, ტკივილი, შეშუპება ან სიწითლე ინექციის ადგილზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საშვილოსნოს ყელის კიბოს რეგულარული სკრინინგი რეკომენდებულია ქალებისთვის 30 წლიდან: მინიმუმ ერთხელ 35 წლამდე და განმეორებით 45 წლამდე. საქართველოში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი უფასოა 25-60 წლის ასაკის ქალებისთვის და ტარდება სკრინინგის ეროვნულ ცენტრში.

არსებობს აპვ-ის და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სამი სხვადასხვა მეთოდი:

- უშუალოდ ვირუსის გამოვლენა, კერძოდ აპვ-დნმ სინჯის მეშვეობით შესაძლებელია ვირუსის მაღალი რისკის ქვეტიპების არსებობის დადგენა . აღნიშნული სინჯით სკრინინგის შედეგად საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების მაღალი რისკის მქონე ქალებს გამოავლენენ ადრეულ სტადიაში , ვიდრე ვირუსი საშვილოსნოს ყელის უჯრედებს დააზიანებს .
- PAP-ტესტი საშვილოსნოს ყელის ლორწოვანი გარსის ციტოლოგიური გამოკვლევაა. ის რეკომენდებულია ყველა ქალისთვის, ვინც სქესობრივ ცხოვრებას ეწევა. ტესტი გამოავლენს ინტრაეპითელურ დაზიანებას, ავთვისებიან პროცესს ან მიკროორგანიზმებით გამოწვეულ უჯრედულ ცვლილებებს.
- საშვილოსნოს ყელის ვიზუალური დათვალიერება, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას თვალით ხილული დაზიანების დიაგნოსტირებისთვის.

სკრინინგული ტესტირება კიბოსწინარე უჯრედების ადრეული გამოვლენისა და ეფექტური მკურნალობის საშუალებას იძლევა, რამაც ბევრი ქალი შეიძლება საშვილოსნოს ყელის კიბოსგან გამოწვეული პოტენციური სიკვდილობისგან დაიცვას.

როგორ უნდა მოვიქცეთ და ვის უნდა მივმართოთ ქვეწარმავალისგან დაკბენის შემთხვევაში

შხამიანი ქვეწარმავლის - გიურზას მიერ 2 და მორიელის დაკბენის რამდენიმე შემთხვევა - ასეთია მიმდინარე წლის სტატისტიკა, თუმცა ზაფხულის ცხელ დღეებში დაკბენის შემთხვევების ალბათობა კიდევ უფრო იზრდება. საქართველოში გავრცელებული გველგესლას გვარის 4 სახეობიდან, ყველაზე შხამიანი გიურზაა, რომელიც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მრავლადაა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აპრილიდან ოქტომბრის ბოლომდე აქტიურდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი, რელიეფის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შხამიანი გველების არსებობისთვის ხელსაყრელია, ამიტომ ის ხშირად გვხვდება არა მხოლოდ ბუნებრივ არეალში, არამედ საცხოვრებელ ზონებშიც. ამის გამო ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში უკვე რამდენიმე წელია შექმნილია სპეციალური სამსახური, რომელიც 24 საათიან რეჟიმში პასუხობს ზარებს (551 80 20 88) და ადგილზე ახდენს რეაგირებას.

წლების განმავლობაში ბოლნისის მუნიციპალიტეტში გველის დაკბენის შემთხვევების სტატისტიკა უმნიშვნელოდ იცვლება. როგორ უნდა მოვიქცეთ და რა უნდა ვიცოდეთ დაკბენის შემთხვევაში, ამის შესახებ ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს მაკა მამარდაშვილს ვესაუბრეთ.

მაკა მამარდაშვილი, ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტში გვაქვს გარკვეული მარაგი გველის შხამის საწინააღმდეგო შრატის „პოლისერას“ სახელწოდებით. გახარჯვის შემთხვევაში სათადარიგო ვაქცინას ვითხოვთ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან. ქვეწარმავლის დაკბენის შემთხვევაში, აუცილებელია მიმართოთ უახლოეს კლინიკას, სადაც დაგხვდებათ სპეციალისტი, რომელიც აღმოგიჩენთ სათანადო დახმარებას.

კლინიკაში მისვლამდე დაკბენილ ადგილს უნდა მისცეთ ის მდგომარეობა, რომ იყოს გულის დაბლა, რათა სწრაფად არ მოხდეს შხამის ატანა, არ შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ლახტის დადება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შხამის ამოწოვა და უმნიშვნელოვანესია ამ დროს დიდი რაოდენობით სითხის მიღება. არ შეიძლება ალკოჰოლი და პანიკა.

თითების თეატრი ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკში

ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკში თითების თეატრი გაიმართა, იქ მისულ მაყურებელს განსხვავებული სანახაობა დახვდა. კოსტუმირებული თითები, მუსიკის თანხლებით, ტექსტის გარეშე სხვადასხვა ეტიუდებს თამაშობდნენ, რომელიც ყველა სეგმენტის მაყურებელზე იყო გათვლილი. ჩვენება ღია ცის ქვეშ „თეატრმობილში გაიმართა“.

თითების თეატრი, ბესიკ კუპრეიშვილის ხელმძღვანელობით, 1991 წელს ქალაქ ბათუმში დაარსდა. 2004 წლიდან კი თეატრმა თბილისში განაგრძო ფუნქციონირება და არა ერთი სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენა განახორციელა.

თეატრალური საღამო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის „დედაქალაქის პროფესიული თეატრები - რეგიონებში-საგასტროლო ხარჯების ხელშეწყობით“ და ადგილობრივი მერიის მხარდაჭერით გაიმართა.



Onkoloji diaqnozu olan hər bir uşaq dövlətin maliyyə dəstəyi ilə Türkiyə, İsrail və İspaniyanın aparıcı klinikalarında diaqnoz və müalicə olunmaq imkanı əldə edəcək Gürcüstanın baş naziri İrakli Qaribaşvilinin rəhbərliyi ilə hökumətin iclası keçirilib. Nazirlər Kabinetinin üzvləri gündəliyə daxil olan 5 məsələni müzakirə ediblər.

İclasda dövlət tərəfindən maliyyələşdirilən onkoloji diaqnozu olan hər bir uşağın Gürcüstanla yanaşı, Türkiyə, İsrail və İspaniyanın aparıcı klinikalarında diaqnostika və müalicə olunmaq imkanı yaradılacağı layihə müzakirə edilib. Layihənin illik büdcəsi təxminən 30 milyon laridir. Hökumət administrasiyasının mətbuat xidmətindən verilən məlumata görə, ilkin bazar araşdırmalarına əsasən, bütün xidmətlərin bir məkanda birləşdirildiyi müasir standartlara və beynəlxalq akkreditasiyaya malik yüksək texnologiyalı klinikalar artıq xaricdə xidmət təminatçısı kimi seçilib. “Layihə çərçivəsində xəstələr yüksək keyfiyyətli, yüksək texnologiyalı tibbi xidmətlər, o cümlədən şişlərin müəyyən növlərinin müalicəsi üçün müasir tibbdə son söz olan proton terapiyası almaq imkanı əldə edəcəklər. Məsələnin müzakirəsi zamanı xüsusilə uşaqların keyfiyyətli onkoloji xidmətlərə çıxışının təmin edilməsinin dövlətin prioritet vəzifəsi olduğu vurğulanıb”, - deyə hökumətin mətbuat xidmətindən bildirilib. Onların sözlərinə görə, Səhiyyə Nazirliyi ilə tibb müəssisələri arasında əməkdaşlığa dair sazişlər ayın sonuna kimi imzalanacaq, bundan sonra onkoloji diaqnozu olan uşaqlar həm Gürcüstanda, həm də xaricdə - İspaniya, İsrail və Türkiyədə lazım olduqda tibbi xidmət alacaqlar. “18 yaşına çatmamış xəstələrin xaricdə müalicəsi proqramı Gürcüstanda xidmətlər gücləndirilənə və müasir standartlar və yüksək texnoloji avadanlıqlarla təchiz olunmuş uşaq onkoloji dövlət mərkəzi yaradılana qədər keçid mərhələsi olacaq. Bu istiqamətdə Səhiyyə Nazirliyi fəal işləyir”, - deyə hökumət administrasiyasının yaydığı məlumatda bildirilir.

Onkoloji diaqnozu olan hər bir uşaq dövlətin maliyyə dəstəyi ilə Türkiyə, İsrail və İspaniyanın aparıcı klinikalarında diaqnoz və müalicə olunmaq imkanı əldə edəcək Gürcüstanın baş naziri İrakli Qaribaşvilinin rəhbərliyi ilə hökumətin iclası keçirilib. Nazirlər Kabinetinin üzvləri gündəliyə daxil olan 5 məsələni müzakirə ediblər.

Sürünən dişlədikdə nə etməli və kimə müraciət etməli

Bolnisi bələdiyyəsi, ərazi və iqlim şəraitini nəzərə alaraq, zəhərli ilanların olması üçün əlverişlidir, buna görə də tez-tez təkcə təbii ərazidə deyil, həm də yaşayış məntəqələrində rast gəlinir. Buna görə də bir neçə ildir ki, Bolnisi bələdiyyəsinin meriyasında 24 saat (551 80 20 88) zənglərə cavab verən və yerindəcə reaksiya verən xüsusi xidmət yaradılıb. Zəhərli sürünənlərin - gürzə tərəfindən 2 dişləmə əqrəb tərəfindən isə bir neçə sancma hadisəsi - bu ilin statistik məlumatlarıdır, baxmayaraq ki, isti yay günlərində dişləmə ehtimalı daha da artır. Gürcüstanda yayılmış 4 ilan növündən ən zəhərlisi Gürzədir Kvemo Kartli ərazisində boldur və iqlim şəraiti nəzərə alınmaqla apreldən oktyabrın sonuna kimi aktivdir. İllər keçdikcə Bolnisi bələdiyyəsində ilan sancma hallarının statistikası bir qədər dəyişir. Bir dişləmə halında necə hərəkət etməli və nə bilmək lazımdır, bu barədə Bolnisi Mərkəzi Klinikasının rabioloqu Otar Gelaşvili və İctimai Səhiyyə Mərkəzinin rəhbəri Maka Mamardaşvili ilə danışdıq. İllərdir ki, ən zəhərli ilanlardan biri olan Gürzə tərəfindən sancılmasına baxmayaraq, bələdiyyəmizdə ölüm faktı qeydə alınmayıb.

Milli Dövlət Reystr Agentliyi sistemli torpaq qeydiyyatı islahatı çərçivəsində Bolnisi bələdiyyəsinin nümayəndələri ilə görüşüb

iust’itsiis saminist’ros sajaro reest’ris erovnulma saagent’om bolnisis munitsip’alit’et’shi mits’is sist’emuri regist’ratsiis reporma daits’q’o. saagent’os ts’armomadgenlebma, bolnisis munitsip’alit’et’is meriashi sainpormatsio shekhvedra gamartes da kvemo kartlis sakhelmts’ipo rts’munebulis moadgiles k’akha k’oberidzes, munitsip’alit’et’is mers davit sherazadishvils, moadgileebsa da meriis ts’armomadgenlebs, mits’is sist’emuri regist’ratsiis mimdinareoba det’alurad gaatsnes. Ədliyyə Nazirliyinin Milli Dövlət Reyestri Agentliyi Bolnisi bələdiyyəsində torpaqların sistemli qeydiyyatı ilə bağlı islahatlara başlayıb. Agentliyin nümayəndələri Bolnisi bələdiyyəsinin meriyasında məlumat xarakterli görüş keçirib və Kvemo Kartli dövlət komissarının müavini Kaxa Koberidzeyə, bələdiyyənin meri Davit Şerazadişviliyə, deputatlara və bələdiyyə nümayəndələrinə torpaqların sistemli qeydiyyatı prosesi barədə ətraflı məlumat veriblər. Görüşdə Milli Dövlət Reyestri Agentliyinin sədr müavini Vaxtanq Boxaşvili və agentliyin nümayəndələri iştirak ediblər. Tərəflər torpaqların sistemli qeydiyyatı ilə bağlı həyata keçirilən və planlaşdırılan işləri də müzakirə ediblər. İslahat çərçivəsində Bolnisi bələdiyyəsinin bütün kəndləri ölçüləcək. Torpaqların sistemli qeydiyyatı bütün Gürcüstanda, ölkənin 59 bələdiyyəsində aparılır. (özünü idarə edən şəhərlər və işğal olunmuş ərazilər istisna olmaqla). Torpaq Sisteminin Qeydiyyatı 2024-ün xüsusi inzibati vahidlərində kadastr planlaşdırılması/ölçüm işlərinin başlanması cədvəli ilə aşağıdakı linkdə tanış olmaq olar: slr.napr.gov.ge/schedule

Bolnisidə Davamlı Enerji Günü qeyd olunub

“Yenilənmiş enerjini seçin - ətraf mühitin qayğısına qalaq” şüarı ilə Bolnisi Bələdiyyəsi bu gün müxtəlif idman və maarifləndirici tədbirlərlə Avropa Davamlı Enerji Həftəsinə qatılıb. Bu gün çərçivəsində Bolnisinin özəl və dövlət məktəblərinin Ekoklubunun uşaqları üzümçülərdən biri Avtandil Qabrijidzenin üzüm bağında quraşdırılan müasir texnologiyayla yenilənmiş günəş panelləri haqqında birbaşa Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvilidən və “Qvino Bolnisi”nin rəhbəri Quram Avkofaşvilidən məlumat alıblar. Dayanıqlı Enerji Gününə həsr olunmuş tədbirlərə müxtəlif yaş, cins və peşə sahiblərinin birləşdiyi idman fəaliyyəti, velosiped turu daxil edilib. Könüllülər ekoloji cəhətdən ən təhlükəsiz nəqliyyat vasitəsi olan velosipedi qəbul etdilər və sağlam həyat tərzini təbliğ etmək məqsədi ilə köhnə alman məhəlləsindən şəhərin girişinə qədər səyahət etdilər. Planlaşdırılan tədbirlərdə Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili onun müavini və inzibati xidmətin rəhbəri ilə birlikdə iştirak edib. Enerji Günlərinin məqsədi yerli əhalini məlumatlandırmaq və onları bərpa olunan enerji və enerjiyə qənaət edən texnologiyaların təşviqinə cəlb etməkdir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის საზაფხულო სკოლა 2023 იწყება

არემჯის საზაფხულო სკოლა სტუდენტების მხარდამჭერი პროექტია, რომელიც მეხუთე წელია ხორციელდება და მიზნად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების ყოველწლიურ, ერთთვიან ანაზღაურებად, პრაქტიკულ და თეორიულ საქმიანობას ითვალისწინებს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ არჩეული სასწავლო პროგრამის შესაბამისად გაიარონ პრაქტიკული კურსი. სამთო-გეოლოგია, გეოლოგია, მარკშეიდერია, წიაღისეულის გადამუშავება, გეოტექნიკა, შრომის უსაფრთხოება, ბურღვის ტექნოლოგია - ეს ის საინჟინრო მიმართულებებია, რომლებსაც პროგრამის ფარგლებში საწარმო ტერიტორიაზე ეუფლებიან ახალგაზრდები.

„კომპანია წელიწადში ერთხელ, აგვისტოს თვეში, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, სოციალური ქსელების და ოფიციალური ვებ-გვერდების საშუალებით აცხადებს ღია კონკურსს, სტუდენტებისთვის. პროექტში მოხვედრა შეუძლია სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ყველა სტუდენტს, რომლებიც ღია კონკურსში მაღალი აკადემიური მოსწრების, მოტივაციისა და უცხო ენებში მაღალი კომპეტენციის შედეგად

შეირჩევიან. კურსი აგვისტო-სექტემბრის თვეში მიმდინარეობს. სტუდენტები საკუთარი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, უშუალოდ საწარმო პირობებში, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილების მქონე მენტორების დახმარებით ივითარებენ საკუთარ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, ურთულეს საინჟინრო დისციპლინებში“ - გიორგი ხეცურიანი, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი.

ირაკლი გაჩეჩილაძე, სტუ-ს ერთ-ერთი სტუდენტია, რომელმაც 2019-20 წლებში წარმატებით გაიარა კომპანია არემჯის საზაფხულო სკოლა, რამაც საშუალება მისცა ჩართულიყო სასტიპენდიო პროგრამაში და გამხდარიყო პროექტის „ინდივიდუალური განვითარების“ მონაწილე.

„უშუალოდ ვიყავი ჩართული საწარმოს საქმიანობაში, ადგილზე ვეცნობოდი ყველა იმ პროცესს, რასაც მანამდე უნივერსიტეტში თეორიულად ვსწავლობდი, სტაჟირების განმავლობაში უკეთ გავითავისე თუ რას ემსახურება სამთო საქმე, რამაც გადამაწყვეტინა ამ სპეციალობით გამეგრძელებინა სწავლა. ასეთი შესაძლებლობა, რასაც არემჯი სტუდენტებს სთავაზობს, დღესდღეობით თითქმის არ არსებობს. სწორედ „საზაფხულო სკოლის“ გავლის შემდეგ მომეცა საშუალება მიმეღო მონაწილეობა სასტიპენდიო გასაუბრებაში, რომელიც ყოველთვიურ ერთწლიან სტიპენდიას ითვალისწინებს, ასევე ვარ პროექტ „ინდივიდუალური განვითარების“ მონაწილე, სადაც ერთი წლის ვადაში, ყოველთვე გავდივარ სტაჟირებას სხვადასხვა მიმართულებით. პროექტის დასრულების შემდეგ, მეძლევა კომპანიაში დასაქმების რეალური შანსი. მაგისტრატურის სტუდენტი ვარ, ამ კუთხითაც ძალიან მეხმარება კომპანია, ხელს მიწყობს რომ სწავლის მიმართულებით არ შემეშალოს ხელი, კვირის ნახევარს უნივერსიტეტში ვატარებ, მეორე ნახევარს კი სამსახურში, რაც საშუალებას მაძლევს შევაჯამო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება“.

არემჯის საზაფხულო სკოლა, რომელიც 2018 წლიდან ხორციელდება და მიზნად სამთო მიმართულებით დაინტერესებული მოტივირებული ახალგაზრდების აღმოჩენას, მათთვის საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას და მომავალში დასაქმების ხელშეწყობას ისახავს, ასამდე სტუდენტმა გაიარა, 20 მათგანი უკვე დასაქმდა კომპანიაში, ხოლო 15 გრძელვადიან სტაჟირებას გადის.

ვალერი იასაღაშვილი

კომპანია არემჯის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სამსახურის ინჟინერი

საქმეს, რომელსაც ვალერი იასაღაშვილი კომპანია არემჯიში 31 წელზე მეტია ემსახურება, მისთვის საყვარელი ჰობი იყო. ბავშვობიდან უყვარდა დაზიანებული ტექნიკის შეკეთება-აღდგენა, მეორადი ნივთებისთვის ახალი სიცოცხლის შეძენა. ის წლებია მისთვის სასიამოვნო საქმეს აკეთებს კომპანია არემჯიში, სადაც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სამსახურში ინჟინრის პოზიციაზე მუშაობს.

როგორც თავად ამბობს, დაზიანებული ტექნიკის ნაწილებით ახლის აწყობა და შეკეთება მას გონების მეტად კონცენტრირებაში ეხმარება. „სამსახური ადგილია, სადაც ცხოვრების ყველაზე დიდ დროს ვატარებთ, ის არა მხოლოდ შემოსავლის წყარო, არამედ ჩვენი პიროვნების იდენტობის შეგრძნების და დანიშნულების მნიშვნელოვანი ნაწილია. სამსახურით კმაყოფილება არ ნიშნავს მხოლოდ მაღალანაზღაურებად და პრესტიჟულ ადგილს, მთავარი და ყველაზე სასიამოვნო იმის შეგრძნებაა, რომ რაღაც ფასეულს აკეთებ და წვლილი შეგაქვს საზოგადოებრივ საქმიანობაში.“

ენთუზიაზმით გვიყვება, რომ კომპანიაში ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა.

„აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა მიმართულებით მიმდინარეობს ცვლილებები, დიდი ყურადღება ეთმობა გარემოზე ზრუნვას და ახალგაზრდების გადამზადება-დასაქმებას, თითოეული სფერო ყოველდღიურად ვითარდება და ამისთვის ფეხის აწყობა აუცილებელია, რაზეც კომპანია თავად ზრუნავს. წლებმა ბევრი რამ მასწავლა, რაც პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში დამეხმარა. გამოცდილებამ, რომელსაც სირთულეებეც ახლდა, შემძინა უნარი შემეცნო და განმევითარებინა ჩემი თავი“.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.